

ქართული წარჩინებული გვარები

სერიის მეორე წიგნი

ჩხეიძეთა საგვარეულო

(ისტორიულ-გენეალოგიური გამოკვლევა)

იური ჩიქოვანი - გენეალოგიური ტაბულებისა და ანოტაციების ავტორი,

იოსებ ბიჭიკაშვილი, შოთა ჩხეიძე - ისტორიული ნარკვევის ავტორები

თბილისი

2004

УДК 947.922
ჩ 694

ნაშრომი წარმოდგენს საქართველოს სამეფოს წარჩინებული გვარის - ჩხეიძეების ისტორიულ-გენეალოგიურ გამოკვლევას. ის ეფუძნება საარქივო, წერილობითი წყაროების ცნობებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს. წიგნი ერთნაირად საინტერესოა როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.


- © თავად ჩხეიძეთა გენეალოგიური ნუსხები №2-11. ი. ჩიქოვანი, 2004.
- © “ჩხეიძეთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი”, ი.ბიჭიკაშვილი, შ.ჩხეიძე, 2004.
- © თავად ჩხეიძეების (ჩხეტიძეების) გენეალოგია (XIII-XVI სს.), ტაბულა 1; თავად ჩხეიძეთა გენეალოგია (XVI-XIX ს. დას.), ნუსხა 1. ი.ბიჭიკაშვილი, 2004.
- © № 1-9 დანართების - ავტორი და შემდგენელი. ი.ბიჭიკაშვილი, 2004.
- © საილუსტრაციო მასალა. ი.ბიჭიკაშვილი, შ.ჩხეიძე, 2004.

სამეცნიერო რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი

ISBN 99928-0-213-8

ყველა უფლებას წიგნზე ინარჩუნებენ ავტორები. აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.

“ენა, მამული, სარწმუნოების” შენარჩუნება-დამკვიდრებისათვის დაღვრილი სისხლით ჰქონდა მოპოვებული ქართველ თავად-აზნაურობას ის პრივილეგიები და მაღალი პატივი, რომელიც მეფის ან ეკლესიის მიერ იყო დაკანონებული.



თავად ჩხეიძეების გერბის აღწერილობა

მართკუთხა, ფრანგული ფარი ორადაა გაყოფილი, რომლის შუაში მოთავსებულია პატარა ფარი, რომლის ზურმუხტისფერ ფონზე გამოსახულია დაკიდული ოქროს საწმისი. ფარის პირველ ნაწილში, ლაჟვარდოვან მინდორზე, ცენტრალურ ღერძზე მოთავსებულია თავადური გვირგვინი, მის ქვეშ, ჰორიზონტალურად განლაგებულია ოქროს ფერი სკიპტრა, რომლის თავი მარცხნივაა გადაწვენილი. ფარის მეორე ნაწილში, შავ ფონზე მოყვანილია ვერცხლის ფერი ციხე-სიმაგრის კედელი, შემოფარგლული ორივე მხრიდან სათოფურებიანი კოშკებით. ციხე-სიმაგრის კედლის ცენტრალურ ნაწილის თავზე, მოთავსებულია მალტიური ტიპის ოქროსფერი ჯვარი. ფარი დაფარულია მეწამური ხავერდის სათავადო ყარყუმის მანტიით, ოქროსფერი მტევნებით, იმავე ფერის ფოჩით და დაგვირგვინებულია თავადური გვირგვინით.

ი.ბიჭიკაშვილი

ჩხეიძეთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი

“კაცი და ქალნი შუენიერნი, მბრძოლნი და იმერეთს უმეტეს სხვათაგან შემართებულად დიდებულნი” (ქართლის ცხოვრება)

ჩხეიძე - მსხვილი ფეოდალური საგვარეულოა საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების მიხედვით თავად ჩხეიძეთა გვარი - “მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელია”.¹



თავადი ჩხეიძეები “...არიან ძველადვე თავადნი იმერეთისა”.² მათი წინაპარნი “ძველადვე”, ე.ი. ძველ დროს “ჩიხორის” თუ ჩიხას ერისთავები იყვნენ. ეს მხარე “მარგვ”-ს ანუ “არგუეთ”-ს წარმოადგენდა.³⁽⁴⁾


ლეონტი მროველის ცნობით, მარგვის ერისთავი ჯერ კიდევ ქართლის პირველი მეფის - ფარნავაზის (ძვ. წ. აღ. III ს.) დროს იქნა დადგენილი.⁴⁽⁵⁾ “ფარნავაზ..... განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი. ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირეთ მიწითგან, რომელი არს ლიხი, ვიდრე ზღუარადმდე ეგრისისა, რიონს ზემოთ და ამანვე ფარნაოზ აღაშენა ორნი ციხენი შოროპანი და დიმნა”.⁵⁽⁶⁾ “ერისთავი დასუა მარგუეთისა შორაპანს და მისცა მცირე ლიხიდან, ვიდრე ზღუამდე ღადოს მთისა და რიონს შუათი”.⁶⁽⁷⁾ მოგვიანებით მარგვის საერისთავოში შედის თავკვერიც. მისი უფლებები ქართლის დასავლეთ ოლქებზეც ვრცელდებოდა.

საქართველოს შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის იმჟამინდელი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი. იგი აღწერს ქართველთა საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას. მისი ცნობით, მარტო რიონზე 120 ხიდი ყოფილა გადებული. რიონ-ყვირილას წყლის მაგისტრალზე შავი ზღვიდან შორაპანამდე, მოძრაობდნენ ხომალდები.⁷⁽⁸⁾ ინდოეთიდან ევროპისაკენ მიმავალი საქონელიც ამავე გზით მოდიოდა: ინდოეთი-შუა აზია-კასპიის ზღვა-მტკვარი-ლიხი-ძირულა-ყვირილა-რიონი-შავი ზღვა-ევროპა. ყოველივე ეს ბუნებრივია სტრატეგიულ დანიშნულებას აძლევდა მარგვის საერისთავოს.

ისტორიამ შემოგვინახა ამ ერისთავთაგან მხოლოდ ერთი სახელი - “ერისთავი მარგვისა და თავკვერისა” ბაკური, რომელიც ვახტანგ I გორგასალის (446-502) დროს მოღვაწეობდა.⁸⁽⁹⁾ სავარაუდოა, რომ “ერისთავი მარგვისა და თავკვერისა” ბაკური, ყოფილიყო ჩხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი. ამის შემდეგ მარგვის ერისთავები ისტორიულ წყაროებში აღარ ჩანან, მათ ცვლიან ჩიხას ერისთავები, რომელთა სამფლობელო დაახლოებით ადრინდელი მარგვის საერისთავოს ტერიტორიას მოიცავს.⁹⁽¹⁰⁾ ისტორიული წყაროები არავითარ ცნობას არ ასახელებენ ასეთ შეცვლასთან დაკავშირებით. სავარაუდებელია, რომ ეს დაკავშირებულია საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრის ჩიხაში გადატანასთან.

ჩიხას საერისთავო პირველად ქართულ ისტორიულ წყაროში “მატიანე ქართლისა”-ში იხსენიება IX საუკუნის მეორე ნახევრის ამბებთან დაკავშირებით. გაძლიერებულმა აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფემ გიორგი I-მა (861-873) “დაიპყრა ქართლი” და მან “დაუტევა ერისთავად ჩიხას” თავისი ძმისშვილი ბაგრატი





დემეტრეს ძე.¹⁰⁽³⁾ ისტორიული წყაროდან ჩანს, რომ ჩიხას საერისთავო აღნიშნულ ფაქტამდე არსებობდა და ერისთავად აქ, მანამდე, სანამ მეფე გიორგი I-ის ძმისწული, მეფე დემეტრე I-ის (825-861) - ვაჟი ბაგრატ I გახდებოდა, ვიღაც სხვა იჯდა ერისთავად. ეს ვიღაც სხვა ჩხეიძეთა გვარის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. აფხაზთა მეფის გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ დანიშნული ჩიხას ერისთავი “ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა”.¹¹ ვინ დააყენეს მოკლული ბაგრატის შემდეგ? “მატიანე ქართლისა”-ამაზე არაფერს ამბობს. სავარაუდოა, რომ ეს მკვლელობა ჩიხას ადრინდელ ერისთავთა, ჩხეიძეთა საგვარეულოს მონაწილეობით მოხდა და ამის შემდეგ ჩიხას ერისთავობა ისევ ჩხეიძეებს დაუბრუნდა.¹² ჩიხას ერისთავების ხსენება ამ ცნობაზე წყდება. შემდგომში არც ერთი ისტორიული წყარო აქ ჩიხას ერისთავს და მარგვის ერისთავს არ იხსენიებს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის თანახმად, ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შორაპნის საერისთავო.¹³ არგვეთზე ვახუშტი ბატონიშვილი პირდაპირ ამბობს: “მველად იყო საერისთავო შორაპნისაო”.¹⁴ ერისთავის რეზიდენცია, როგორც ჩანს, შორაპანში გადადის და ამის შესაბამისად საერისთავოც ახალ სახელწოდებას იღებს.¹⁵ მაგრამ შემდეგ შორაპნის საერისთავოს რეორგანიზაცია მოხდა და X საუკუნეში რაჭა ცალკე საერისთავოდ ჩამოყალიბდა, რაც შორაპნის ეკონომიკურ-სტრატეგიული უპირატესობით, ხოლო რაჭის ცალკე საერისთავოდ გამოყოფა კი გეოგრაფიული ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული.¹⁶

X საუკუნიდან - XV საუკუნის მეორე ნახევრამდე რაჭის ერისთავის ადგილს ბაღუაშ კახაბერიძეები, შემდეგ კი ჭარელიძეები იჭერენ.¹⁷

შორაპნის ერისთავობა ჩხეიძეთა საგვარეულოს 1330 წლამდე ჰქონდა, ვიდრე საქართველოს მეფემ - გიორგი V ბრწყინვალემ აქ, დასავლეთ საქართველოს (ლიხთ-



ჩხეიძეთა საგვარეულო ხატი

იქითის) მეფის - მიქელის (1327-1329) ვაჟი - ბაგრატის დასვა.¹⁸ ამის შესახებ ასევე ცნობას გვაწვდის გვიანდელი, 1686 წლის ამაღლებისა და ჯვარცმის ხატის წარწერა: “ქ. ბრძანებითა ღმრთისათა, ძალითა და შეწევნითა ხატისა ამაღლებისათა მე, ჩხეიძემ ბოქაულთუხუცესმა ბატონმა თეიმურაზ, ჟამთ გამოცულილობით ძველთაგან ჩუენის სახლის დანაკარგი შორაპნის ციხე და ქალაქი, მეფის ბაგრატის ბრძანებითა, ძალად ჩემის ხრმლით დავიჭირე. რადგან ჩემმა მოწყალემ ამდენი ხელი მომიმართა, ვიგულე და გულსმოდგინეთ ჩუენ ფრიად ცოდვილმა და ყოველთა კაცთა უცოდვილესმა მე, თეიმურაზ და თანამეცხედრმა ჩემმა ჩხეიძის ასულმა ბატონმა თამარ, ძველთაგან თათართა მიერ დაღუწილი ხატი ესე ამაღლებისა შევამკვეით მურასთ თვალითა მარგალიტითა. ჩუენად სადღეგრძელოთ, ძეთა და ასულთა ჩვუენტა, აღსაზრდელათ და ცოდვათა ჩუენტა საოხად დღეს მას საშინელსა. განკითხვისას ჩემსას. ამინ. ქორონიკონსა ტოდ (1686 წ.).¹⁹

1372 წელს შორაპნის ერისთავის - ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ერისთავად მისი უფროსი ვაჟი ალექსანდრე ჩანს.²⁰

თემურ ლენგისა და “შავბატკნიანების” თურქმანთა ურდოების მრავალჯერადი შემოსევების შედეგად (XIV-XV სს.) დაუძლურებელ საქართველოში გამძაფრდა შინაპოლიტიკური რღვევის პროცესი. ცალკეულმა ფეოდალებმა დაიწყეს სწრაფვა განცალკევებისაკენ.

XV საუკუნის მეორე ნახევარში საერისთავოში შემავალი სხვადასხვა თავადური საგვარეულოების დამოუკიდებლობისათვის სწრაფვის მიზეზით და ძალისხმევით შორაპნის საერისთავო იშლება. მის ტერიტორიას იმკვიდრებენ იმერეთის სხვადასხვა თავადური საგვარეულოები. შორაპნის საერისთავოს მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელები რჩებიან ჩხეიძეები, რომლებიც აყალიბებენ ჩხეიძეთა სათავადოს.²¹ ეს იყო არგვეთის სამხრეთი ნაწილი, რომელიც “პირველად



ჩხეიძეთა საგვარეულო ხატი

არგვეთადვე წოდებული... შემდგომად პყრობითა მთავართა ჩხეიძეთაგან საჩხეიძოდ ისახელა”.²² “... პირველად იყო არგვეთის საერისთავო და აწ პირველი სადროშო”.²³ მათი ციხე-ქალაქი და სათავადოს უფროსის რეზიდენცია კვლავ შორაპანი დარჩა, რაც ისტორიკოს გ.ცეციტიშვილის მიხედვით ლოგიკურად გამოიყურება, რადგან მისი გამოკვლევებით ჩხეიძეთა გვარი წარმოშობით არგუეთიდან ლომსიათხევის სოფელ ბორიდან, შორაპნის სანახებიდანაა, რომელიც უძველეს დროიდან დაწინაურებულა.²⁴ შორაპნის ახლო მდებარე სოფელ ტაბაკინში ჩხეიძეებს ჰქონდათ საგვარეულო ეკლესია, რომელიც ისტორიული ცნობების მიხედვით აშენდა VI-VII საუკუნეებში, მისი განახლება მოხდა X-XIII საუკუნეებში, ხოლო ფრესკული მოხატვა XVI საუკუნეში.²⁵ ფრესკებზე ბევრი ისტორიული პირია გამოსახული, მათ შორის ქუთაისის ეპისკოპოსი გერასიმე ჩხეტიძე (ჩხეიძე), რომელიც მოღვაწეობდა XVI ს. 20-იან წლებში, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის დროს. გერასიმე ჩხეიძემ, როგორც მონასტრის კედელზე წარწერით ირკვევა, საფუძვლიანად შეაკეთა მონასტერი, რომელიც ძლიერ იყო დაზიანებული. მასთან ერთად ეკლესიის აღდგენა-განახლებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა ჩხეიძეებიც. იქვეა გამოსახული ქუთათელი ეპისკოპოსის სიმონის (ჩხეიძის) ფრესკაც. ტაბაკინის მონასტერს თავისი ღირსეული საქმიანობით ერთ-ერთი უპირატესი ადგილი ეჭირა ქვეყანაში.

სათავადო, თავადური გვარის წევრთა გაერთიანებულ, ერთ ფეოდალურ ერთეულად ორგანიზებულ სამფლობელოს ერქვა. სათავადოს მოთავე “დიდებული



ტაბაკინის წმ. გიორგის მონასტრის ხედი

თავადი” საგვარეულო მიწაწყლის, სათავადოს საერთო საქმეებისა და სამოხელეო აპარატის ერთპიროვნული გამგებელი იყო. ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს სათავადოს უფროსი ახორციელებდა. ასევე, სათავადოს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა. ეს ჩანს, როგორც სოლომონ I-ის მიერ 1766 წელს ბაანა ჩხეიძის შვილებისათვის (როსტომი, გიორგი, დავითი, ბექია) ბომბულ წყალობის სიგელიდან, ისე გვიანდელი (1810 წ.) ცნობიდანაც.²⁶

სათავადოს ჩამოყალიბების შემდეგ ჩხეიძეთა სამფლობელოს საზღვრებს ვახუშტი ბატონიშვილი ასე მოხაზავს: აღმოსავლეთით - “ფერსათიდან ჩამოსული მცირე მთა”, დასავლეთით - “საჩინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი რიონიდან ფერსათამდე”, სამხრეთით - “მთა ფერსათისა ანუ ლადოთ ანუ ლომსიათ წოდებული” და ჩრდილოეთით - “მდინარეები ჩხერიმელა, ძირულა, ყვირილა და რიონი”.²⁷

ჩხეიძეთა სათავადო ციხე-ქალაქ შორაპნის გარდა ფლობდა: ჩიხას, ჩიხორს, ფუტს, თრვინს, წიფას, ტაბაკინს, ალავერდს, ზედა დიშს, კიკნაველეთს, ქარჩხაბს, ფერსათს, გვიანდელი ცნობის მიხედვით - სოფელ დიდ ჯიხაიშს.²⁸ ადგილ-მამულები ჰქონდათ ჩხეიძეებს ჭყვიშს, ოზჩას, ბაღდადს, ზეგანს, ჩირგუტს, წყალთაშუას, უხუტს, ფარცხანაყანევს, როხსა და ზეინდარს.²⁹ ჩხეიძეების ყმათა საერთო რაოდენობა ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ რომ მათი ყმა გლეხები იყვნენ: არჯევანიძეები, ბაკურაძეები, გიგაშვილები, გიორგობიანები, გოცირიძეები, გუმბერიძეები, დიონისაშვილები, ებანოიძეები, ერთგულიძეები, ვაშაკიძეები, ვაშაყმაძეები, ვერულაშვილები, ზირაქაძეები, თედორაძეები, კარანაძეები, კვირიკაძეები, კოპაძეები, კობოძეები, ლილუაშვილები, ლიპარისშვილები, მეტრეველები, მშვიდობაძეები, ნერგაძეები, ნოზაძეები, ოქროპირაშვილები, ფულარიანები, ფურცელაძეები, შავლაძეები, შენგელიები, ჩაჩანიძეები, ჩუბინიძეები, ცერცვაძეები, წივწივაძეები, ჭაუტიძეები, ჭრილაშვილები, ხიზანიშვილები, ჯანელიძეები და სხვ.³⁰

ჩხეიძეთა აზნაურები იყვნენ: გაბეხაძეები, გოგორიშვილები, დიდიძეები, მაჭავარიანები, მიქაბაძეები, ნემსაძეები, საყვარელიძეები, ჩხეიძეები, ყიფიანები, ჯღერიები.³¹

ჩხეიძეთა სათავადოს თავის სამოხელეო აპარატი ჰქავდა. ისტორიულ საბუთებში იხსენიება: სახლთუხუცესი (1751 წ.), ნაცვალი (1817 წ.) და ხელოსანი (1682 წ.).³²



ტაბაკინის წმ. გიორგის მონასტრის ხედი

შორაპნის საერისთავოს რეორგანიზაციის შედეგად ჩხეიძეთა სათავადოს ჩამოყალიბებიდან მოკლე ხანში იმერეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1484-1510) ჩხეიძეთა სათავადოს წარმომადგენელი ივანე ჩხეიძე 1488 წელს დასვა რაჭის ერისთავად,³³ რაც ამ გვარის რაჭაზე ძველი უფლებების აღდგენად უნდა ჩაითვალოს. 1497 წელს მის ადგილს მისი ძმა კახაბერი იჭერს.³⁴ ამიერიდან რაჭის ერისთავის ტიტული მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე უფროსობის მიხედვით. არგვეთელი სახლიკაცებისაგან ტერიტორიულად განცალკევებულ რაჭის ერისთავებს დროთა ვითარებაში ძველი საგვარეულო სახელი ჩამოსცილდათ და თავიანთი თანამდებობის აღმნიშვნელი “ერისთავი” გაუგვარდათ. რაჭის ერისთავის რეზიდენცია სოფ. წესში იყო, სასახლე, კარის ეკლესია და საძვალე - ბარაკონში.




გერასიმე ჩხეტიძის ფრესკა (ტაბაკინის მონასტერი)

რაჭის საერისთავოს ტერიტორია, რომელიც ჩხეიძეებმა ჩაიბარეს ძალზე შეკვეცილი იყო, იგი რაჭის მხოლოდ რამდენიმე სოფელს მოიცავდა და თანაც მასში თავკვერი აღარ შედიოდა, მაგრამ მათ თანდათან იწყეს ყმა-მამულის შემოკრება და XVIII საუკუნის ნახევრისთვის რაჭის თითქმის მთელ ტერიტორიას ფლობდნენ. გაფართოვდა ერისთავთა არა მარტო სამფლობელო, არამედ უფლებებიც, გაიზარდა მათი ძლიერება და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაც. რაჭის ერისთავები შოშიტა II (1661-1684), პაპუნა II (1684-1696), შოშიტა III (1696-1732), გრიგოლ (1732-1743), ვახტანგ (1743-1750), როსტომ (1750-1769) დიდი გავლენით სარგებლობდნენ ლიხთ-იმერეთში და ლიხთ-ამერეთშიც. მათ ანგარიშს უწევდნენ, იცნობდნენ და აფასებდნენ მეზობელ ქვეყნებშიც. ნიშანდობლივია, რომ 1651 წელს იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის მიერ რუსთა ხელმწიფის ერთგულების ფიცის წიგნზე ხელის მოწერისას გამართულ დარბაზობას პაპუნა I რაჭის ერისთავი არ დასწრებია. ამ წიგნზე მას იმერეთიდან რუსეთისაკენ მიმავალმა ელჩებმა რაჭაში, საკუთარ რეზიდენციაში მოაწერინეს ხელი მისთვის საგანგებოდ დატოვებულ პირველ ადგილზე, მეფე ალექსანდრე III-ის საერო კარისკაცთაგან.³⁵

რაჭის ერისთავთა განსაკუთრებულ მდგომარეობას გამოხატავდა მათი ტიტულატურაც, რომელიც XVIII საუკუნეში გაჩნდა: “ლიხთ იმერისა და ამერის მთავრად და მსაჯულად დადგინებული, მპყრობელი რაჭისა”.³⁶ ან კიდევ “ლიხთ იმერთა სარდალი... მპყრობელი რაჭისა”.³⁷

იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784) დასავლეთ საქართველოს 1759 წლის საეკლესიო და საერო კრების დადგენილებაში რაჭის ერისთავს როსტომს ასეთი



იმერეთის სამეფოს გერბი

ტიტულით ამკობს: “კაცთაგან მოწმე ამისი... სპასპეტ-სპასალარი, სტრატოლატი და ვიპატოსი...”.³⁸

რაჭის ერისთავთა აზნაურები იყვნენ: “ბაქრაძეები, ბუბაშვილები, გამრეკელიძეები, გამყრელიძეები, გოცირიძეები, დარახველიძეები, დემეტრაძეები, იაშვილები, ლაჭყევიძეები, ლომინაძეები, ლორთქიფანიძეები, საკანდელიძეები და ჯაფარიძეები”.³⁹

რაჭის ერისთავთა ყმა გლეხები: “არაბიძეები, არველაძეები, არჩვაძეები, ბოჭორიშვილები, ბრეგვაძეები, ბურძენაძეები, გაგნიძეები, გელაშვილები, გოგილაშვილები, გოგობერიშვილები, დაუშვილები, დემეტრაშვილები, კაშიები, კერესელიძეები, კობერიძეები, კრიხელები, კუხიანიძეები, ლილუაშვილები, ლობჯანიძეები, მაისაშვილები, მაკარიძეები, მერკვილაძეები, მეტრეველები, მჭედლიძეები, ნავროზაშვილები, პატარიძეები, რობაქიძეები, საბანიძეები, სვანიძეები, სირაძეები, ტოროშელიძეები, ფოჩხიძეები, ფხაკაძეები, ქრისტესიაშვილები, ხმიადაშვილები, ჩხობაძეები, ხურციძეები და სხვ.”⁴⁰

რაჭის ერისთავების ყმები სამეფო გადასახადებს არ იხდიდნენ. ეს გადასახადები XVII ს. 60-იანი წლებიდან ფაქტიურად ერისთავებს ჰქონდათ მითვისებული.⁴¹




იმერთა მეფე ალექსანდრე II

XV საუკუნეში თავად ჩხეიძეთა მფლობელობაში იყო იმერეთში ყოფილი შორაპნის საერისთავო და რაჭაში მათი განაყოფი - რაჭის საერისთავო. რაჭის საერისთავოს ისტორია და ერისთავთა გენეალოგია ცალკე თემაა, რაც ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.

მოგვიანებით, XVII საუკუნეში, რაჭის ერისთავების ნაწილი ქართლში გადავიდა, რის შესახებაც იოანე ბატონიშვილი თავის თხზულებაში “შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა” გვაუწყებს: “ესენი არიან ძველთადაც თავადნი იმერეთისა საერისთავოსა ჩიხორად წოდებულისა... და რომელ უკანასკნელ ამათნი სახლის შვილნი იწოდნენ ერისთავად რაჭისა, ხოლო შემდგომად ამისა ამა ერისთავთაგან დამდაბლებულნი სახლიკაცნი თვისნი მოვიდნენ ქართლსა შინა და მეფემან ვახტანგმან მიუბოძა ადგილნი სურამის კერძოდ და დაასახლა მუნ წელსა 1668, და არიან მუნითგან მოსრულნი ქართლში და აგრეთვე იმერეთში დაშთომილნი ჩხეიძენი”.⁴²

ისტორიამ შემოგვინახა “დიდებულ” თავად ჩხეიძეთა განსაზღვრული ნაწილის სახელები და ცნობები მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ქართულ ისტორიულ წყაროებში თავად ჩხეიძეების ანუ ჩხეტიძეების⁴³ გვარის შესახებ ცნობები გვხვდება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში, რომელიც თარიღდება XIV საუკუნის დასაწყისით, სადაც მოიხსენიება რუსი ჩხეტიძე.⁴⁴ მაგრამ ის ამ დროს ცოცხალი არ არის. მისი მოღვაწეობა XIII საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის. რუსი ჩხეტიძის შემდეგ, 1325 წელს, გვხვდება ჩხეიძეთა საგვარეულოს წევრი გოგატი, რომელსაც მეაბჯრეთუხუცესის სახელო უკავია.⁴⁵ გოგატი მეაბჯრეთუხუცესის შემდეგ, ჩხეიძეთა გვარის შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში დიდხანს არაფერი ჩანს. მხოლოდ 1412-1442 წლებში იხსენიება ყელგრძელ ჩხეტიძე, რომელსაც საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდი (1412-1442) მოწმედ ასახელებს თავის “კარის ვაზირთა შორის”.⁴⁶ მოგვიანებით, 1486-1488 წლების შუალედში, ამილახორის თანამდებობა ივანე ჩხეტიძეს უკავია.⁴⁷ ამავე დროს იმერეთის მეფემ ალექსანდრე II-მ ივანე ჩხეტიძე რაჭის ერისთავად დასვა, ხოლო ამილახორის სახელო მის სახლიკაცს - სანასარს გადასცა. 1488 წელს იმერეთის



ბიჭვინთის ტაძარი

მეფის ალექსანდრე II-ის მიერ გაცემულ ფალავანდიშვილთა სასისხლო სიგელში მოწმეთა შორის დასახელებულნი არიან რაჭის ერისთავი ივანე ჩხეტიძე და მისი სახლიკაცი სანასარ ამილახორი.⁴⁸ ამავე სიგელში დასახელებულნი არიან ასევე ივანე რაჭის ერისთავის ძმები - კახაბერი და აბესალომი და ჩხეტიძეთა გვარის სხვა წევრებიც - ვახტანგი და აბესალომი.⁴⁹

მე-XVI-XVII საუკუნეებში ეს საგვარეულო თავისი ინტელექტის გაფურჩქვნისა და ძლიერების ზენიტს აღწევს და იმერეთის სამეფოში (ნაწილობრივ ქართლშიც), როგორც სასულიერო, ისე საერო სფეროშიც დომინირებს. თავად ჩხეტიძეებს უჭირავთ ისეთი მნიშვნელოვანი სახელოები, როგორცაა: კათალიკოსი, მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, მეფის კარზე: ამილახორი, მანდათურთუხუცესი, სახლთუხუცესი, მსაჯულთუხუცესი, მოლარეთუხუცესი. ამ დროს იმერეთის სამეფოში მოღვაწეობდა აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ევდემონი (1557-1578).⁵⁰ XVI საუკუნის მეორე ნახევარში კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის ზეობაში მოხდა საკათალიკოსო ტახტის მუდმივად ბიჭვინთიდან გელათში გადმოტანა.⁵¹ კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძე ცნობილი პიროვნება იყო დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალი ხელნაწერის გადაწერა, გელათის სამონასტრო კომპლექსის საამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები, მოკვის საყდრისა და ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის “შემკობა” და სხვ.⁵² კათალიკოს ევდემონის ფრესკული გამოსახულება შემორჩენილია გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლისა და იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის შორის. კათალიკოს ევდემონი დაკრძალულია გელათში “საფლავსა შინა მეფეთასა”, წმინდა გიორგის ეკლესიაში.⁵³



აფხაზთა (დასასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ევდემონ
ჩხეტიძე და მეფე დავით IV

სწორედ ამ პერიოდში, ბაგრატ III-ის მეფობის დროს ხდება დანგრეული ეკლესია მონასტრების აღდგენა და ახალი საეპისკოპოსოების დაარსება. საეპისკოპოსო კათედრებზე მეფე თავის ერთგულ ფეოდალებს ნიშნავს. კერძოდ, ხუთ საეპისკოპოსო კათედრას ჩხეტიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები განაგებენ. ამ დროს მოღვაწეობდნენ: ქუთათელი ეპისკოპოსი გერმანე,⁵⁴ ასევე მისი მომდევნო ქუთათელი - სვიმონი,⁵⁵ ხონელი ეპისკოპოსები მანოელ⁵⁶ და ზაქარია,⁵⁷ ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე,⁵⁸ ჯუმათელი ეპისკოპოსი სიმონი,⁵⁹ მოქველი მთავარეპისკოპოსი ფილიპე⁶⁰ და თავადი ხოფილანდრე⁶¹ ჩხეიძეები. ხოფილანდრე ჩხეიძე ცნობილია იმითი, რომ მან “გამოაპარა” გელათის სამრეკლოდან ლევან I დადიანი 1546 წელს, რომელიც იმერთა მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565) წინააღმდეგ გამოსვლისათვის იქ იყო ჩაკეტილი.⁶²

მე-XVI საუკუნის ბოლოს თავადი ჩხეიძეები თავადთა იმ ჯგუფში არიან, რომელიც იმერეთის მეფეებს, ლევანს (1585- 1590) და როსტომს (1590-1605), განუდგნენ და იმერეთში მოლაშქრე ქართლის მეფე სიმონ I-ის (1556-1600) მხარეზე გადავიდნენ.⁶³ თავად ჩხეიძეების როლი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიად თვალსაჩინო ხდება და ზენიტს აღწევს XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან.

ამ დროს იმერეთის მეფე გიორგი III (1605-1639) “იმერეთის ბოქაულთუხუცესს” თეიმურაზ ჩხეიძეს დიპლომატიური მისიით აგზავნის ირანის შაჰის სეფი II-ის (1629-1642) კარზე და 1633 წელს ქართლის მმართველად



იმერთა მეფე ბაგრატ III

გამოგზავნილ როსტომს (1633-1658) მოჰყვება საქართველოში სხვა ქართველ თავადებთან ერთად.⁶⁴

იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660) 1651 წლის ცნობილი ფიცის წიგნში, იმერეთის ყველა თავადური გვარის წარმომადგენლებთან ერთად ხელს აწერს ლევან ჩხეიძე.⁶⁵

თავად ჩხეიძეთა გავლენის ზრდას ხელს უწყობდა ის ფართო ნათესაური კავშირები, რომლებიც მათ ჰქონდათ იმერეთისა და ქართლის მეფე-თავადებთან.

თავად ქექაოზ ჩხეიძის თანამეცხედრე იყო ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის (1527-1556) ასული, რომლის სახელი უცნობია.⁶⁶ ეს ირკვევა ქართლის მეფის ბაგრატ VII-ის (1616-1619), თანამეცხედრის, დედოფალ ანას და მისი ვაჟის - მეფე სიმონ II-ის წყალობის წიგნიდან, რომელიც გაცემული იყო 1619 წელს: “ჩვენ, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანამან და ძემან ჩვენმან პატრონმან მეფემან სვიმონ თქვენ ჩვენს მამიდაშვილსა ჩხეიძესა პატრონსა გორგასალს და შვილთა თქვენთა ბეჟანს, ქაიხოსროს და დავითს... გიბოძეთ კალეთი ვახტანგ ციციშვილის კერძო”.⁶⁷ ამასვე ადასტურებს მეფე როსტომის წყალობის სიგელიც, რომელიც გაცემულია 1633 წელს.⁶⁸ გორგასალ ჩხეიძის ალალი ბიძები იყვნენ ქართლის მეფეები: სიმონ I, დავით XI (დაუდ-ხანი), ბიძაშვილები: გიორგი X, ბაგრატ VII და როსტომი.

თავად ჩხეიძეთა ნათესაური კავშირი აღნიშნულ მეფეებთან და მათ შთამომავლებთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მათ პოლიტიკურ ორიენტაციასა და ცხოვრებაზე. ზიგიერთი გამონაკლისის გარდა ჩხეიძეები მხარში ედგნენ ქართველ მეფეებს ერთიანობისათვის ბრძოლაში და მათი ერგულებისათვის “იქნევდნენ ხმალს”.

თავად ქექაოზ ჩხეიძის შვილის - გორგასალის მეუღლე იყო ცნობილი მხედართმთავრის და პოლიტიკური მოღვაწის - გიორგი სააკაძის ასული, რომლის სახელი უცნობია. გიორგი სააკაძისა და თავად ჩხეიძეთა მოყვრობის შესახებ ცნობებს გვაწვდის მეფე ვახტანგ VI-ის სიგელი, რომელიც გაცემულია მოლარეთუხუცეს სეხნია ჩხეიძის სახელზე: “ჩვენ... ერანის სპასალარმან და ადრებეჟანის ბეგლარბეგმა



ქართლის მეფე სიმონ I

ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან ჩერქეზეთის ბატონის ასულმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან... მეფეთ-მეფემან და თვითხელმწიფემან პატრონმან შაჰნავაზმან (იგულისხმება ვახტანგ VI ვაჟი ბაქარი. ი.ბ., შ.ჩ.) შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შენ ჩვენსა ერთგულსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურსა კარისა ჩვენისა მოლარეთუხუცეს სეხნიასა და შვილსა შენსა გიორგის ასე და ამა პირსა ზედა... ვითარცა ნამსახური იყავი ყადარსე ქირმანს და ისპანს და ორი შენი ძმაც ყანდაარს ჩვენს ძმას სპასალარს ქაიხოსროსათვის დაიხოცნენ. მისის სამუქფოთ ჩვენს ეს წყალობა გიყავით, ვითაცა უწინ ბედნიერს პაპაჩვენს მეფეს შანავაზს თავისი დეიდაშვილის პაპაშენის ბეჟანისათვის ქვემო ბოლნისი წყალობა ექნა და ჟამთა ვითარებით ჩვენის საქმისთვის ერეკლე მეფეს წაურთმია, ახლა რადგან პაპა-მამათა ნაქონი იყო, ჩვენც თქვენთვის გვიბოძებია ქვემო ბოლნისი”.⁶⁹

გორგასალ ჩხეიძე, გიორგი სააკაძესთან ნათესაობის გამო, მას მხარს უჭერდა და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. გორგასალ ჩხეიძე ბაზალეთის ტბასთან დამარცხებულ გიორგი სააკაძეს თურქეთში თან გაჰყვა. თურქეთში ის ცნობილი იყო ფარად-ფაშის სახელით. ეს ჩანს იოსებ თბილელის პოემიდან “დიდმოურავი”, სადაც დასახელებულია ფარად-ფაშა: “ფარად-ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ ჩემთვის მკვდარია”.⁷⁰

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, როცა გიორგი სააკაძე და მისი თანხლები პირები თურქეთში ჩავიდნენ, “სამი-ოთხი საფაშო სარჩოდ გაუჩინეს, დიდნი პატივი დასდევს”.⁷¹ ერთ-ერთი საფაშოს ფაშად, როგორც ჩანს, გორგასალ ჩხეიძე უნდა ვივარაუდოდ.⁷²

გორგასალ ჩხეიძის ერთ-ერთი ვაჟი, ბეჟანი თავის პაპას - გიორგი სააკაძეს ახლდა თურქეთში, როდესაც თურქმა ჯალათებმა მუხანათურად უღალატეს მას. დიდი ვეზირის - აზამის ბრძანებით გიორგი სააკაძე და მისი თანხლები პირები დაუტყვევებიათ. გორგასალ ჩხეიძე სრულიად შემთხვევით ასცდა დაპატიმრებას.



ქართლის მეფე როსტომ

თურქმა ჯალათებმა დატყვევებულები თვლით ჩაიბარეს და შესაბამისი რიცხვით მათი მოკვეთილი თავები უნდა წარედგინათ დიდი ვეზირ აზამისათვის. თავად გორგასალ ჩხეიძემ უმაგალითო თავგანწირვა გამოიჩინა და თავისი ვაჟი ბეჟანი სიკვდილს გადაარჩინა. ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: “აზამ ვეზირს ხონთქრის და ჰყავანდა ცოლად, და რა ესე ამბავი მოუვიდა ხონთქარსა, იამა დიდად და დიდი სახელი და ხმა დაუვარდა მოურავს. მაშინ იწყინა ხონთქრის დამან, რომელი ედგა ვეზირსა, და მისწერა წიგნი: “როგორი საქმე არის და ან როგორ გეკადრებაო, სულ მოურავის სახელი მოდის და შენი არაო”. მაშინ უღალატა ვეზირმან; დაჰპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიცა და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო და, რაცა ჰყავანდა, ყოველივე ამოუწყვიტა. ერთი შვილი ახლდა თანა ავთანდილი, მოუკლეს იგიცა. მაშინ თან ახლდა გორგასალ და შვილი მისი ბეჟან, და წააყენეს ბეჟან სასიკუდილოდ. მაშინ შეეხუეწა და ქრთამი მისცა იასაულს, რომ მაგ ჩემს შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალი, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთელებაო და მაგას ნუ მომიკლავო. მაშინ ისმინა მტარვალმან და არღარა მოუკლა შვილი, თვით გორგასალ მოკლა; თავი მოსჭრა, მიიტანა და ანგარიშში გააროინა. ბეჟან მორჩა და წარმოვიდა”.⁷³ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: “განრისხმა ვეზირ-აზამი, შეიპყრა ქაიხოსრო, მოურავი და ყოველნი ქართველნი მათ-თანანი და წარკუეთნა ყოველთა თავნი. რამედ გორგასლის შვილს ბეჟანს რა ჰკუეთდენ თავსა, ეტყოდა მამა-მისი მტარვალსა მას ნიჭის მიცემითა: “მე მომკუეთე თავი და განუტევე ძე ჩემი”. რამეთუ იგი განტევებულ იყო ნიჭისა მისთვის. განუტევა ბეჟან და წარკუეთა თავი გორგასალს”.⁷⁴ ბეჟან ჩხეიძე ქართლს დაბრუნდა და მალე როსტომ მეფის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. შემდგომში ბეჟან ჩხეიძე იმერეთში მოღვაწეობს, სადაც



გიორგი სააკაძე

სახლთუხუცესის სახელოს დებულობს. (შემდგომში ბეჟან ჩხეიძის ასული, იმერეთის მეფის გიორგი III-ის ვაჟიშვილის - მამუკას თანამეცხედრე ხდება).

XVII საუკუნის 30-60-იანი წლების ისტორიულ საბუთებში გვხვდება ცნობები თავად ხუცია, გიორგი, ბანანა (ბაანა), სახლთუხუცეს ბეჟია (ბეჟან) და მისი ვაჟის ოტია ჩხეიძეების შესახებ,⁷⁵ სასულიერო სფეროდან - ქუთათელი ეპისკოპოსი ბასილი.⁷⁶

XVII საუკუნის 30-50-იან წლებში იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657) შორის ატყდა ბრძოლა დასავლეთ საქართველოში გაბატონებისათვის. ამ ბრძოლაში თავად ჩხეიძეები მხარს მეფე ალექსანდრე III-ს უჭერდნენ, ხოლო ლევან II დადიანს ეხმარებოდა ქართლის მეფე როსტომი და ირანის შაჰი სეფი II. ასეთი მოკავშირეებით ზურგამაგრებული ლევან II დადიანი, “ნამეტნავად გაძლიერებულიყო და იმერეთი დაეჩაგრა”.⁷⁷ ამიტომ მეფის მომხრეები ბეჟან (ბეჟია) და სხვა ჩხეიძეები “დადიანის ძალით იმერეთით გაყრილნი იყვნენ და ლევან II დადიანისაგანვე დევნილი იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის ძმასთან - მამუკა ბატონიშვილთან ერთად ახალციხის ფაშასთან - იუსუფთან (1635-1647) აფარებდნენ თავს. ბეჟან ჩხეიძე ასევე ნათესაობითაც იყო დაკავშირებული მამუკა ბატონიშვილთან. ბეჟან ჩხეიძის ასული, რომლის სახელი უცნობია, მამუკა ბატონიშვილის თანამეცხედრე იყო.⁷⁸

მამუკა ბატონიშვილი და მისი მომხრე თავადი ჩხეიძეები ახალციხიდან ქართლში გადავიდნენ და “სომანეთის ჭალაში” დადგნენ. თავად ჩხეიძეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იმ შეთქმულებაში, რომელიც ქართლის მეფის როსტომის (1633-1658) წინააღმდეგ მოეწყო ნოდარ ციციშვილისა და სხვა თავადების თაოსნობით. შეთქმულებს ქართლში იმერეთის ბატონიშვილის - მამუკას გამეფება უნდოდათ.⁷⁹ მაგრამ შეთქმულები დამარცხდნენ. მამუკა ბატონიშვილი იძულებული გახდა ახალციხეში გადასულიყო. მისი მომხრე თავადი ჩხეიძეები ქართლში დარჩნენ და მეფე თეიმურაზ I-ის მხარეზე იბრძოდნენ, მაგრამ თეიმურაზ I-ის მომხრე თავადთა ჯგუფი როსტომ მეფესთან ბრძოლაში დამარცხდა. თავადი



გელათის სამონასტრო კომპლექსი

ჩხეიძეები მეფე როსტომს ტყვედ ჩაუვარდნენ და მან ისინი ირანს გაგზავნა. რამდენიმე წლის შემდგომ მეფე როსტომმა თავადები გიორგი და ოტია ჩხეიძეები ირანიდან “მოაყვანინა”, ხოლო თავადები ბექან და ხუცია ჩხეიძეები “ყაენის კარს დარჩნენ”.⁸⁰



იმერთა მეფე ალექსანდრე III

იმ პოლიტიკურ დაჯგუფებებში, რომელნიც XVII საუკუნის 30-იან წლებში როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის ირგვლივ შეიქმნა, თავადი ჩხეიძეები და თავად აბაშიძეების უმეტესი ნაწილი ქართველობისათვის მებრძოლი თეიმურაზისა და მისი მოკავშირე იმერეთის მეფის - ალექსანდრე III-ის მხარეზე იდგნენ. ასეთ ვითარებაში თავადმა ღონენა აბაშიძემ იმერეთის მეფის ვასალობა აღარ ინება, “გათათრებულ” როსტომ ქართლის მეფეს ეყმო და მისი ერთგული გახდა. დალატისათვის ღონენა მოაკვლევინა მისივე ძმამ პაატამ (აბაშიძეთა საგვარეულოს მეთაურმა). მეფე როსტომმა “იწყინა”, რომ მის საბრძანებელში სხვა ქვეყნიდან (იმერეთიდან) ამ რიგი საქმე კადრეს და პაატას სახლკარის და მამულის ასაოხრებლად, 1638 წელს ზემო ქართლის სარდალი იოთამ ამილახვარი ლაშქრით გაგზავნა. პაატას მამული დაარბიეს, ხოლო აბაშიძეთა მამველ მეზობელ თავად ბანანა ჩხეიძეს “თავი მოკვეთეს”.⁸¹

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიულ სარბიელზე მოღვაწეობდნენ: ჭყონდიდელი ევდემოს,⁸² სახლთუხუცესი სეხნია, სუფრაჯი ოტია,⁸³ ქვითირის მოურავი ოტია და მისი შვილი ბეჟან,⁸⁴ იმერეთის დედოფლის სახლთუხუცესი როსტომ⁸⁵ და ბოქალთუხუცესი თეიმურაზ⁸⁶ ჩხეიძეები.

1660-1666 წლებში აფხაზთა კათალიკოსად იჯდა სვიმონ ჩხეტიძე, რომელმაც ქუთათელობაც შეინარჩუნა. ისტორიულ საბუთებში ის იხსენიება “ქუთათელ-კათალიკოსად”.⁸⁷ მის მიერ უნდა იყოს აშენებული სოფელ თხილთაწყაროს ეკლესია, რომლის საკურთხეველში შემორჩენილი ნუსხური წარწერა გვაუწყებს: “ქ. მს~სნე ორ ს~სფვლსა შინა ამის ეკლესიის აღმშენებელი ჩხეიძე სიმეონ”.⁸⁸ საყურადღებოა ის, რომ XVII საუკუნეში ქუთათელ ეპისკოპოსად ძირითადად მხოლოდ ჩხეიძეთა საგვარეულოს წევრები სხედან.⁸⁹ ამ საუკუნეში იხსენებიან აგრეთვე საერო სფეროში: შეღან, სვიმონ, მამუკა, ხოსია, პაატა, ქაიხოსრო და გიორგი ჩხეიძეები.⁹⁰



მამუკა ბატონიშვილი

XVII საუკუნის 50-60-იან წლებში მეტად მნიშვნელოვან ფიგურას იმერეთის სამეფოში წარმოადგენდა სვიმონ კათალიკოსის (1660-1666) ძმა - სეხნია სახლთუხუცესი. სეხნია ჩხეიძე ჯერ კიდევ იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660) მეფობის დროს წინაურდება. მეფე ალექსანდრე III-ის 1660 წლის სიგელებში სეხნია ჩხეიძეს უკვე სახლთუხუცესის სახელო უჭირავს.⁹¹ სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე უფრო “განდიდნა” ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ. ბაგრატ IV მეფობაში (1660-1681) სეხნია ჩხეიძე პირველი კაცია. ბაგრატ IV მას თავის “დიდ ბოიართაგან” პირველ რიგში ასახელებს. სეხნია ჩხეიძე, თავის ძმის, სვიმონ კათალიკოსისა და სხვათა “დიდის ცდითა”, ბაგრატ IV-ს 1663 წელს დაეხმარა იმერეთის ტახტის დაბრუნებაში.⁹²

ბაგრატ IV მეფობის პერიოდში, როცა იმერეთში ცენტრალური ხელისუფლება ძალზე შესუსტებულია, თავადები “მიიტაცებდიან თავის თვისთა მხარეთა... აღრევა იყო მორჩილება ეგდენი მეფითა”, იყო ტყვითა სყიდვა და ქვეუნის ციხე-სიმაგრეებს თურქები იპყრობდნენ.⁹³ ასეთ პირობებში სეხნია ჩხეიძე განუდგა მეფე ბაგრატ IV-ს - “იწყო... ერთგულება ფაშისა” და 1666 წელს მოიყვანა თურქები და მათ ქუთაისის ციხე ჩააბარა.⁹⁴ სამეფო სატახტო ქალაქის ციხის თურქების მიერ დაკავებამ “ყოველივე იმერი” შეაშფოთა. მხოლოდ 1667 წელს მოხერხდა ბეჟან ლორთქიფანიძის თაოსნობით, თურქებისაგან ქუთაისის ციხის განთავისუფლება, მაგრამ ისიც მოკლე ხნით.⁹⁵ 1669 წელს სეხნია ჩხეიძე კვლავ განუდგა იმერთა მეფეს ბაგრატ IV-ს და ქუთაისის ციხე “ზაკვით” აიღო და ხელმეორედ თურქებს ჩააბარა.⁹⁶ ამიერიდან ქუთაისის ციხე თურქების ხელში იყო 1770 წლის 6 აგვისტომდე, როდესაც მეფე სოლომონ I-მა რუსთა ჯარის დახმარებით კვლავ დაიბრუნა ქუთაისი.⁹⁷ სეხნია ჩხეიძეს მიემხრო იმერეთის თავადების დიდი ნაწილი და ასევე სამეგრელოს მთავარი ლევან III დადიანი (1660-1681). ჩხართან მომხდარ ბრძოლაში ბაგრატ IV-მ გაიმარჯვა. სეხნია ჩხეიძე დაილუპა ამ ბრძოლაში, ხოლო ლევან III დადიანი გაიქცა სამეგრელოში.⁹⁸ ჩხარის ბრძოლის შემდეგ, ბაგრატ IV-მ კვლავ “დაიპყრა... უმეტესად იმერეთი”.⁹⁹ მიუხედავად სეხნიას ჩხეიძის ორგულობისა, ბაგრატ IV-ს ჩხეიძეები მკაცრად არ დაუსჯია. მეფემ მხოლოდ სახლთუხუცესობა ჩამოართვა მათ და საზვერელ ჩიჯავაძეს გადასცა.¹⁰⁰ თავად ჩხეიძეებთან დამოკიდებულების გამწვავებას ბაგრატ IV მაშინ მოერიდა. ახლო ხანშიც მდგომარეობა შეიცვალა. თავად ჩხეიძეთა საგვარეულოს წევრმა - როსტომმა დიდად უერთგულა ბაგრატ IV-ს, აცნობა მას მის სამტროდ მომავალ ახალციხის ფაშისა და გიორგი III გურიელის (1664-1683) გეგმა¹⁰¹ და ამ საქციელით თავისი გვარის დანაშაული ნაწილობრივ გამოისყიდა. მოგვიანებით როსტომ ჩხეიძემ 1685 წელს მიიღო დედოფლის სახლთუხუცესის სახელო. ამასობაში საზვერელ ჩიჯავაძე ბაგრატ IV-ის მეტოქეებთან 1679 წლის ბრძოლაში დაილუპა და მისი სიკვდილის შემდეგ ბაგრატ IV-მ სახლთუხუცესის სახელო თავად ჩხეიძეთა საგვარეულოს წევრს - გიორგის გადასცა.¹⁰²


მე-XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, ისტორიულ დოკუმენტებში ჩანს თავადი გაბრიელ ეგორის ძე ჩხეიძე, რომელიც 1699 წელს მოსკოვში გამგზავრებულია და იქ საცხოვრებლად დარჩენილ იმერეთის მეფე არჩილ II-ის “სახლში გაზრდილი და დაბერებულია”. მან რუსეთში გაატარა დარჩენილი სიცოცხლე ვაჟიშვილებთან (მატვეი, ალექსანდრე, ივანე) ერთად (მათ შესახებ იხილეთ ქვემოთ) და მოღვაწეობდა როგორც მწიგნობარი და მთარგმნელი.



ქუთაისის ბაგრატის ტაძარი

მე-XVIII საუკუნის დასაწყისიდან თავად ჩხეიძეები თანდათან ქვეითდებიან. გაძლიერებულ თავად აბაშიძეთა სახით მათ უჩნდებათ სასტიკი მეტოქეები. იმ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებულია დასავლეთ საქართველოში პირველობისათვის, თავადი ჩხეიძეები იმერეთის მეფის მხარეზე იბრძვიან. იმერეთის მეფის - გიორგი VI-ის (1703-1720) წინააღმდეგ გამოსულ გიორგი-მალაქია აბაშიძის და მისი მომხრეების - გიორგი ლიპარტიანის და რაჭის ერისთავ შოშიტა III-თან ბრძოლაში 1709-1711 წლებს შორის დაიღუპა სახლთუხუცესი გიორგი ჩხეიძე.¹⁰³ მას შემდეგ, რაც გიორგი VI-ს დაუახლოვდა ზურაბ აბაშიძე, ჩხეიძეთა გვარის წარმომადგენლები - ოტია და სახლთუხუცეს სეხნიას შვილიშვილი პაატა მეფის მეტოქე მამია III გურიელის (1689-1714) მხარეზე გადავიდნენ და მასთან ერთად იბრძოდნენ ჩხარის ომში 1712 წელს გიორგი VI-ის წინააღმდეგ.¹⁰⁴ მოგვიანებით, როგორც კი გიორგი VI-ის მემკვიდრე ალექსანდრე V-მ (1720-1752) ზურაბ აბაშიძისა და მის მოკავშირე სამეგრელოს მთავარ ბეჟან დადიანთან (1714-1728) ბრძოლა დაიწყო, ოტია ჩხეიძე მეფისა და მის მომხრე რაჭის ერისთავ შოშიტა III-ს დაუკავშირდა და ამ ბრძოლას შეეწირა 1720-1721 წლებს შორის. რაჭის ერისთავი შოშიტა III “ქრთამს” პირდებოდა ახალციხის ისაყ ფაშას, თუ ახალგაზრდა ალექსანდრე V-ის “მეურვეობას” მისცემდა. მაგრამ, სამეგრელოს მთავარმა ბეჟან დადიანმა, დაასწრო “ქრთამის” მიცემაში. ისაყ ფაშამ იგი მიუჩინა მეფეს “მოურვედ”, ხოლო შოშიტა III-ის თავდებ ოტია ჩხეიძეს თავი მოჰკვეთა.¹⁰⁵

თავად აბაშიძეებსა და თავად ჩხეიძეებს შორის ბრძოლა იმერეთის სამეფოში პირველობისათვის, ამ უკანასკნელთა დამარცხებით დამთავრდა. ჩხეიძეთა ციხე-ქალაქის შორაპნის ჯერ კიდევ “ძველთაგან” მიმტაცებლად, სავარაუდოა, ვიგულისხმოთ თავად აბაშიძეთა საგვარეულო. ამ “დანაკარგს” (შორაპნის ციხე-



იმერთა მეფე სოლომონ I

ქალაქს) 1660-1681 წლებში ბოქაულთუხუცესი – თეიმურაზ ჩხეიძე “ხმლით” იბრუნებს, მეფე ბაგრატ IV-ის ბრძანებით,¹⁰⁶ მაგრამ მცირე ხნით. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული, თავად ჩხეიძეები სამუდამოდ კარგავენ შორაპანს. იგი ჯერ კიდევ გიორგი აბაშიძის მიერაა მიტაცებული, ხოლო ამ უკანასკნელის ქართლში გაქცევის შემდეგ (1711 წ.) შორაპანს მისი შვილი ლევანი ფლობს. 1726 წელს კი ის ზურაბ აბაშიძემ მიიტაცა, რომელმაც 1730 წელს ეს ციხე თურქებს გადასცა. 1757 წელს შორაპანის ციხე სოლომონ I-მა თურქი ოკუპანტებისაგან გაანთავისუფლა, თავად ჩხეიძეების მოქიშპე აბაშიძეებმა მოახერხეს რა დიპლომატიური შეთანხმება იმერეთის მეფესთან, ეს ერთგვარი “დაზავება” მათ ჩხეიძეების წინააღმდეგ გამოიყენეს: ზურაბ აბაშიძემ “მოსწყვიდნა ბანაშვილნი ჩხეიძენი...” და “დაიპყრა მამული მათნი”.¹⁰⁷ ადგილმამულთან ერთად ჩხეიძეებმა დაკარგეს თავიანთი სამკვიდრო სახელოები, ესეც აბაშიძეებმა და სხვა თავადებმა “იქრთამეს” (იხ. რუკა: ქართლი და იმერეთი XVII ს.).¹⁰⁸ თავადმა ჩხეიძეებმა საგვარეულო რეზიდენცია გადაიტანეს დიშში, “სადაც ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ციხე მტკიცე”. ამიერიდან აქ ჰქონდათ მათ სასახლე, ციხე-სიმაგრე, საგვარეულო ეკლესია და სასაფლაოც. მანამდე საგვარეულო სამკვლევო ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიაში იყო.¹⁰⁹

ამგვარად, XVIII საუკუნის დასაწყისი იყო თავად ჩხეიძეთა საგვარეულოს ძლიერების დასასრული. აღიშნული პერიოდიდან მათი სამფლობელო განისაზღვრება ზედა დიშით და მისგან განცალკევებით, კიდევ ჯიხაიშს, ბაღდადს და სხვაგან მხოლოდ ზოგიერთი ადგილ-მამული აქვთ შერჩენილი.¹¹⁰ ასევე თავად ჩხეიძეთა ქართლის შტოს ეკუთვნოდა სოფელი იტრია, სურამის მახლობლად.

ჩხეიძეთა ქართლის შტოს მიეკუთვნებოდა ცნობილი ისტორიკოსი - მოლარეთუხუცესი სეხნია ჩხეიძე, რომლის კალამს ეკუთვნის ისტორიული თხზულება “ცხოვრება მეფეთა”, სადაც აღწერილია ქართლ-კახეთის და ირანის

ისტორიული მოვლენები, რომლის უშუალო მონაწილე თვითონ ავტორი იყო,¹¹¹ იგი გახლდათ აგრეთვე ქართლის სამეფოს დიპლომატი.



იმერთა მეფე სოლომონ II

სეხნია ჩხეიძე, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან - მე-XVIII საუკუნის 40-იან წლებში, ქართლის მეფის სამსახურში “იქნევდა ხმალს”. იგი ჯერ კიდევ 16-17 წლის ყმაწვილი მონაწილეობდა გიორგი XI-ის ლაშქრობაში არაგვის საერისთავოს დასამორჩილებლად. შემდეგ კი 1696 წელს სპარსეთში ისპაჰანს მიჰყვება ქაიხოსრო ბატონიშვილს, სადაც მასთან ერთად დაჰყო 7 წელი. 1699 წელს შაჰ ჰუსეინმა (1694-1722) ბატონიშვილი ლევანი და სეხნია ჩხეიძე ბელუჯების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა, სადაც სეხნიას დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია და თანაც ბატონიშვილი სიკვდილს გადაურჩენია. 1700 წელს სეხნია ჩხეიძე მეფე გიორგი XI-თან (1676-1688, 1703-1709) და ბატონიშვილ ლევანთან ერთად იბრძოდა ქირმანში ავღანელების წინააღმდეგ. 1703 წელს შაჰმა გიორგი XI-ს ქართლის სამეფო დაუბრუნა და სეხნია ჩხეიძე საქართველოში ბრუნდება. 1707 წელს მეფე გიორგი XI-მ მას მოლარეთუხუცესის სახელო უბოძა. 1712 წელს სეხნია დიპლომატიური მისიით ვახტანგ VI-ს მიჰყვება ირანში, საიდანაც ისინი 1719 წელს

ერთად ბრუნდებიან საქართველოში და ქართლში სეხნია ჩხეიძე მეფის ერთგულ სამსახურს განაგრძობს.

XVIII საუკუნიდან იმერეთის სამეფოში “პირველკაცობა” რაჭის ერისთავებს (იგივე ჩხეიძებს), აბაშიძეებს და დადიანებს ეჭირათ, თუმცა მემატიანის ცნობით ამ პერიოდშიც ჩხეიძეების გვარი ერთ-ერთ “უწარჩინებულესად” ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის 30-იან წლებში რაჭის ერისთავის გედეონ ეპისკოპოსს (ჩხეიძეს) მეფე ალექსანდრე V-მ უბოძა “საერისთო მამული” იმერეთში და უწოდა “ზარის ერისთავი”, აქედან გაჩნდა იმერეთში გვარი “ერისთავი” გენით ჩხეიძეთა შთამომავალი. “ზარის ერისთავთა” ინსტიტუტი რაჭის ერისთავთა დასაპირისპირებლად, მათ ზომაზე მეტი სიძლიერის დასათრგუნავად იყო. ფრთხილი მეფის მიერ დაწესებული, მაგრამ ამ ღონისძიებას შედეგი არ მოჰყოლია.

იმერეთის მეფემ ალექსანდრე V-მ (1720-1752) კვლავ წამოსწია თავად ჩხეიძეთა საგვარეულო. მან 1740 წელს ბაანა ჩხეიძეს და მის შვილებს როსტომს, გიორგისა და დავითს უბოძა “მკვიდრად” ქვითირის მოურავობასთან ერთად სვირის მოურავობაც.¹¹²

მაგრამ იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752-1784) დროს (დაახ. 1766 წელს) ჩხეიძეებმა დაკარგეს ქვითირის მოურავობა, რომელიც ქაიხოსრო აბაშიძის ხელში გადავიდა.¹¹³

მეფე სოლომონ I-ის მიერ რუსეთის გენერალ ტოტლებენის მიმართ მოწერილი წერილის თანახმად (1770 წლის 30 დეკემბერი), ამავე პერიოდში ჩანს ოტია ჩხეიძე, რომელიც სხვა თავადებთან ერთად 1500 კაცი თან ახლავს მეფეს თურქებისაგან დაუმტკიცა თავადის წოდება: სიმონ სტეფანეს ძე (1817-1864) და მისი შვილები ალექსანდრე (1848-?), იოსები (1850-?), ივანე (1852-1899) და კონსტანტინე (1854-1886).¹²²

გენერლის წოდების მატარებლები იყვნენ სოფ. ოზრის მკვიდრნი მიხეილ საჩინოს (სიმონის) ძე (1847-?) და დავით ტიმოთეს ძე (1851-?). ორივე წარმატებით მონაწილეობდნენ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, მსახურობდნენ კავკასიის სამხედრო ოლქში დისლოცირებული ჯარების ნაწილებში, იყვნენ პოლკის მეთაურები.¹²³ გენერლის წოდებას ატარებდა ასევე ალექსანდრე ჩხეიძე, რომელიც 1920-1940-იან წლებში პოლონეთში მოღვაწეობდა.¹²⁴

საჭიროა აღინიშნოს, რომ ისე როგორც სხვა წარჩინებული გვარისთვისაა დამახასიათებელი, ჩხეიძეთა გვარშიც თავადის უმაღლესი ტიტულის (“დიდებული თავადი”-ს) მატარებელი განსაზღვრული რიცხვით შემოიფარგლებოდა, დანარჩენი უმრავლესობა აზნაურის ტიტულს ატარებდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ თვით თავად ჩხეიძეთა დაქვემდებარებულ აზნაურებში მოხსენიებულია ჩხეიძის გვარი.¹²⁵

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, როგორც გარეშე მტრებისაგან სამშობლოს დასაცავად, ასევე საგვარეულო ტერიტორიებისა და ტიტულის შენარჩუნებისათვის შიდა ფეოდალურ ბრძოლებში, თავად ჩხეიძეთა გვარი რიცხოვნობად კატასტროფულად შემცირდა.

ფიზიკური მოსპობის გარდა, თავადების ნაწილმა, ჟამთა მსვლელობისას, პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითება განიცადა და, ბუნებრივია, ამის შედეგად, მათი მონაცემებით, ისინი ვეღარ აკმაყოფილებდნენ თავადის ტიტულის კრიტერიუმს (გენეტიკური წარმომავლობის გარდა, თავადს მის

დაქვემდებარებასა და გავლენის ქვეშ უნდა ჰყოლოდა აზნაურებისა და ყმა-გლეხების განსაზღვრული რაოდენობა, ხოლო მფლობელობაში: ციხე-სიმაგრე, ეკლესია-მონასტერი, სათანადო ფართობის მიწა და ქონება). ამ მოვლენამ განსაკუთრებით იჩინა თავი XVIII საუკუნის დასაწყისიდან.

ამას ადასტურებს აგრეთვე შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტიც - 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ქართველ თავად-აზნაურთა სია, რომელსაც ხელს აწერს მეფე ერეკლე II. იქ მოიხსენიებიან, როგორც თავადი ჩხეიძეები, ასევე აზნაური ჩხეიძეებიც - “ამათნი წინაპარნი იყვნენ თავადი ჩხეიძის გვართაგან, რომელიცა ზემორე მოვიხსენე ჩხეიძეებისათვის, იხილე მუნ და არიან ესენიცა მოხსენებულნი ტრაქტატსა შინა”.¹²⁶

შემდგომში საბჭოთა წყობილებამ, პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებით, გააუქმა ყოველგვარი გვარობრივი წოდებები და პრივილეგიები, ასე, რომ დარჩა მხოლოდ გენი. დარჩა ასევე მოვალეობა წინაპართა ისტორიისადმი პატივისცემისა და დიდი პასუხისმგებლობა შთამომავლობის აღზრდის მიმართ დევიზით: “იცოდე ვისი გორისა ხარ”.

XX საუკუნის დასაწყისში ჩხეიძეთა წარმომადგენლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე - პუბლიცისტი, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ჯერ საქართველოსა და ამიერკავკასიაში და შემდეგ რუსეთის იმპერიის მასშტაბით, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გახლდათ. 1917 წლის თებერვალ-აგვისტოში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ - სრულიად რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარე, შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე (1918 წლამდე) იყო.

გიორგი ჩხეიძე (1874-1939) საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ამავე საუკუნის 30-50-იან წლებში აღსანიშნავია ჩხეიძეთა გვარის ის წარმომადგენლები, რომლებსაც სახელმწიფო მართვის ორგანოებში თანამდებობები არ ეკავათ და პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ეწეოდნენ, მაგრამ თავიანთი გამორჩეული კაცურ-კაცობით, სისპეტაკით და მაღალი ზნეობით ქართველი კაცის ფენომენსანსახიერებდნენ, რასაც ტრადიციად ამკვიდრებდნენ მომდევნო თაობებში. საზოგადოების მიერ აღიარებული ეს კოლორიტული პიროვნებები გახლდათ: სიმონ (სიმონიკა), დავითი (დათიკო), დავით (დათუნია) ჩხეიძეები, რომელთა ავტორიტეტი და სიყვარული დღემდე შემორჩა ქუთაისში, საერთოდ იმერეთსა და თბილისში.

საბჭოთა წყობილების პერიოდში სახელმწიფო და სამთავრობო მმართველობით სისტემაში მოღვაწეობდნენ: ზურაბ ჩხეიძე - მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; პეტრე პეტრეს ძე ჩხეიძე - კომუნისტური პარტიის მაღალი რანგის თანამდებობები საქალაქო და რესპუბლიკურ დონეზე, საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე; ბეჟან ჩხეიძე - ფინანსთა მინისტრი; მიხეილ ჩხეიძე - მსუბუქი მრეწველობის მინისტრი; რეზო (ჩხირო) ჩხეიძე - ამიერკავკასიის რკინიგზის სამედიცინო სამსახურის უფროსი; პეტრე ჩხეიძე - “საქნახშირის” თავმჯდომარე; ალექსანდრე (ალიკო) ჩხეიძე - ტრანსპორტის მინისტრი; გივი ჩხეიძე - საქართველოს სანაოსნოს უფროსი, ადმირალი; დავით ჩხეიძე - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი; იგორ ჩხეიძე - მატერიალური რესურსებისა და ვაჭრობის მინისტრი (საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ, 1990-1991 წწ.).



Свидетельство.



По указу Его Императорскаго
 Величества, изъ Грузино-Имеретинской Свя-
 тейшего Правительствующаго Синода Конфу-
 ров, дано сие князю Николаю Георгиеву Чхеидзе
 въ томъ, что въ свѣдѣніи прошенія его о вы-
 дачѣ шетривскаго свидетельства о рожденіи
 и крещеніи его, была наведена справ-
 ка и оказалось, что въ шетривской кни-
 гѣ, Имеретинской Епархіи, Куртавскаго
 уезда, Джижамшской Сергеевской Георгиевской
 церкви за тысяча восемьсотъ пятнаде-
 сать третій годъ, въ первой части оро-
 дившихся, въ графѣ шуресскаго поля, подъ
 № записана статья: „родился четвертаго
 февраля тысяча восемьсотъ пятидесята-
 го года, крещенъ одиннадцатаго февраля
 тысяча восемьсотъ пятнадецать третьяго
 года Николай; родительница его: вдово
 умершаго князя Георгія Чхеидзе - Аста-
 то Кайхосрова, православною вѣроисповѣ-
 данія, воспитанникомъ званъ казенной шко-
 лой Давидъ Беравъ Морткианидзе, мо-
 литво крещенія совершилъ священникъ

1153

причетником Луки Едидий швим.
Въ честь Греческо - Нисретинская Свя-
тшайшаго Правителствующаго Синода
Котора надлежаша подписать и спе-
циальною ксерией печати удостовѣ-
рять. - Машта 24 рудна тасара восемь-
сотъ семьдесятъ третьяго года.
Слева Синодальной
Котора Архимандритъ Висерноу



Секретарь М. Симаев
[Signature]

მე – XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციის გაცემული მოწმობის ნიმუში: თავად ნიკოლოზ გიორგის ძე ჩხეიძის ნათლობის მოწმობა

დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო უმაღლეს ორგანოში - პარლამენტში 1991 წლიდან სხვადასხვა არჩევის დროს წარმოდგენილი არიან: ზურაბ, თამარ, იგორ, ირაკლი, ნატო და გიორგი ჩხეიძეები. ქ. თბილისის საკრებულოში - რეზო (ჩხირო) ჩხეიძე.

საერთაშორისო დიპლომატიურ სფეროში: პეტრე ჩხეიძე - საქართველოს წარმომადგენელი გაეროში, შემდგომში საქართველოს ელჩი თურქმენეთში და ავღანეთში (ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და დიპლომატების თეიმურაზისა (XVII ს.) და სეხნია ჩხეიძის (XVIII ს.) კვალზე.

სახელმწიფო სამხედრო სამსახურში: ვალერი ჩხეიძე - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი (XVIII საუკუნიდან დაკარგული სპასპეტ-სპასალარის სახელოს ჩხეიძეთა გვარში დაბრუნება).

ფართოდაა წარმოდენილი ჩხეიძეთა გვარი ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამ გვარმა მოგვცა ჩხეიძეთა ისეთი ცნობილი მოღვაწენი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებასა და აღიარების საქმეში.

თეატრალურ და სასცენო ხელოვნებაში: ლეგენდარული უშანგი, დავით, ნუცა, ნოდარ, ჩიტოლია, ნინო, ლამზირა და ქეთი ჩხეიძეები. თანამედროვე თეატრის აღიარებული რეჟისორი თემურ ჩხეიძე; კინოხელოვნებაში: რევაზ ჩხეიძე - გამოჩენილი კინორეჟისორი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდა კინორეჟისორები: ბიძინა და გიგა ჩხეიძეები.

მხატვრები: ამირან, ომაზი, მამუკა, ნათია, ხათუნა შოთას ასული, ხათუნა რევაზის ასული ჩხეიძეები.

მუსიკალურ ხელოვნებაში: მარგალიტა და რუსუდან ჩხეიძეები - საერთაშორისო დონის პიანისტები.

საყურადღებოა ისიც, რომ ამ გვარის გენი მაღალი ვოკალური მონაცემებით ხასიათდება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ჩიტოლია, დავით (დათუნა), ლევან (ლეო), კოტე სიმონის ძე ჩხეიძეების ლამაზი ტემბრისა და ჟღერადობის ხმა.

ლიტერატურაში: საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩეხოსლოვაკიაში მოღვაწე კონსტანტინე ჩხეიძე (XX ს-ის 20-30-იანი წლები), “ევროპული კულტურის ამაგდარი”.

